

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 მაისის №01-06/06
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. ქედის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ვადით, სარგებლობის უფლებით შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამსახურის უფროსი: დავით თედორაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

5. 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის ისტორიულ მუზეუმში არსებული ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელი: ა(ა)იპ ქედის ისტორიულ მუზეუმის
დირექტორი: ვაჟა ფარტენაძე

6. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2023 წლის წლიური ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის შიდა აუდიტის
სამსახურის უფროსი: შოთა ბერიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა
და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2024 წლის -- მაისი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძეს) ქედის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონების ავტომანქანა (მიკროავტობუსი 16+1 ადგილი) Mercedes-Benz-ი სახ. №HB-138-HH ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“-სათვის (ს/ნ-446761148) უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემაზე, რომლის საერთო საბალანსო ღირებულება შეადგენს 867 (რვაას სამოცდაშვიდი) ლარს.
2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის შესახებ.

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა, რათა მან განახორციელოს ქედის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ქონების უსასყიდლო საკუთრების უფლებით ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“-სათვის გადაცემა. სწორედ ამ მიზეზით ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შესაბამისი მოთხოვნით, სამართლებრივი აქტის - საკრებულოს განკარგულების პროექტით და თანდართული საქმის მასალებით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“-ს დირექტორის სულხან ჯიჯავაძის წერილი, რომლითაც მოითხოვს ერთი ერთეული მოძრავი ქონების Mercedes-Benz-ის ფირმის მიკროავტობუსის, (სახელმწიფო ნომრი HB-138-HH) საკუთრებაში გადაცემას. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებით, რომ ზემოთ მითითებული ავტომანქანა Mercedes-Benz-ი (სახ. N HB-138-HH) ირიცხებოდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შპს „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“-ს ბალანსზე. კლუბის დირექტორის თორნიკე აფხაზავას მიმდინარე წლის 28 მარტის N2 წერილით მოთხოვნილია აღნიშნული ავტომანქანის ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალიდან გატანა, ვინაიდან ავტომანქანა თავისი მოცულობიდან გამომდინარე (16+1 ადგილი) ვერ აკმაყოფილებს საფეხბურთო გუნდის გადაადგილებისათვის საჭირო მოთხოვნებს და მათთვის გამოუსადეგარია. რაზედაც მიმდინარე წლის 10 აპრილს ჩატარდა პარტნიორთა კრება და მიღებული გადაწყვეტილებით (ოქმი N2) ავტომანქანა Mercedes-Benz-ი (სახ. N HB-138-HH) გამოტანილი შპს „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“-ს საწესდებო კაპიტალიდან, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 867 (რვაასსამოცდაშვიდი) ლარს. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე დღეის მდგომარეობით ავტომანქანა Mercedes-Benz-ი (სახ. N HB-138-HH) უფუნქციოდაა დარჩენილი და მისი ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“-სათვის გადაცემა მიზანშეწონილია, რათა აღნიშნულმა ორგანიზაციამ გამართულად უზრუნველყოს ბავშვთა საფეხბურთო ჯგუფების ტრანსპორტირება სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის მიზნით.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიღება, რათა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ განახორციელოს აღნიშნული ქონების ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“-სათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის მომზადება.

ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში რათა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემდეგ, განახორციელოს აღნიშნული ქონების გადაცემა.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და საკადრო საკითხთა განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი (ს. ბოლქვაძე)

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2024 წლის -- მაისი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, თხოვნის ფორმით, ვადით, სარგებლობის უფლებით შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძეს) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით, თხოვნის ფორმით შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს (ს/ნ:246761213) გადასცეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი მოძრავი ქონება:

№	მოძრავი ქონების დასახელება	მარკა	ტიპი	მოდელი	სატრ.საშ. საიდენტიფიკაციო ნომერი	რეგისტრაციის ნომერი	სატრ. საშ. გამოშვების წელი	რეგისტრაციის თარიღი	სატრ. საშ. მესაკუთრე	საწვავის ტიპი	ფერი	ქონების ღირებულება (ლარი)	შენიშვნა
1	ნაგავშიდი	IVECO	სპეციალიზებული	UROCAR GO ML 150 E25W	ZCFB51LJ8 02747265	GG692XG	2023	16/05/2024	ქედის მუნიციპალიტეტი ს/კ 246762061	დიზელი	თეთრი	430630,0	

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალამემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, თხოვნის ფორმით, ვადით, სარგებლობის უფლებით შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემა, რათა მან განახორციელოს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლების თხოვნის ფორმით 5 წლის ვადით შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის გადაცემა. სწორედ ამ მიზეზით ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შესაბამისი მოთხოვნით, სამართლებრივი აქტის - საკრებულოს განკარგულების პროექტით და თანდართული საქმის მასალებით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების დაწესებულ მოთხოვნების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება. რომელის მიღებაც უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას.

ასევე ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების და გატანის სერვისის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ნაგავმზიდი ავტომანქანა შემდგომი გამოყენებისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვნის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით გადაეცეს შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი ერთეული მოძრავი ქონების, კერძოდ:

№	მომრავი ქონების დასახელება	მარკა	ტიპი	მოდელი	სატრ.საშ. საიდენტი ფიკაციო ნომერი	რეგისტრ ციის ნომერი	სატრ. საშ. გამომ ვების წელი	რეგისტრ ციის თარიღი	სატრ. საშ. მესაკუთრე	საწვავის ტიპი	ფერი	ქონების ლირებუ ლება (ლარი)	შენიშვნა
1	ნაგავშიდი	IVECO	სპეციალი ზებული	UROCAR GO ML 150 E25W	ZCFB51LJ8 02747265	GG692XG	2023	16/05/2024	ქედის მუნიციპალ იტეტი ს/კ 246762061	დიზელი	თეთრი	430630,0	

შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით, თხოვნის უფლებით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა, რათა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ განახორციელოს აღნიშნული ქონების შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის მომზადება.

ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში რათა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემდეგ, განახორციელოს აღნიშნული ქონების გადაცემა.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი (სულიკო ბოლქვაძე).

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

გადაგზავნილი

1	გა-80 3143476
---	---------------

3	მაისი	2024
---	-------	------

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

4	16	მაისი	2024
---	----	-------	------

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5	გამყიდველი
---	------------

5.1	2	0	0	1	1	9	9	2	3		
-----	---	---	---	---	---	---	---	---	---	--	--

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.2	შპს ჯი-თი გრუპ
-----	----------------

დასახელება (სახელი, გვარი)

6	მყიდველი
---	----------

6.1	2	4	6	7	6	2	0	6	1		
-----	---	---	---	---	---	---	---	---	---	--	--

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

6.2	ქედის მუნიციპალიტეტი
-----	----------------------

დასახელება (სახელი, გვარი)

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით	მათ შორის	
				დღგ-ს თანხა	აქციზის თანხა
ნაგავმზიდი IVECO EUROCARGO ML150E25W ZCFB51LJ802747265	ცალი	1,0000	430630,0000	65689,3200	0,0000
სულ			430630,0000	65689,3200	0,0000

სასაქონლო ზედნადების No

თარიღი

7	0818639815	8	16 - მაისი - 2024 04:42
---	------------	---	-------------------------

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა _____ ბ.ა.

ხელმოწერა _____ ბ.ა.

GE

რეგისტრაციის მოწმობა
საქართველო / GEORGIA

A 00692300 (რეგისტრაციის ნომერი / Registration number)
B 2023 (მანქ. სპ. გამოშვების წელი / Manufacture year of the vehicle)
I 16/05/2024 (რეგისტრაციის თარიღი / Date of registration)

C.1.1 ქვეყნის მუნიციპალიტეტი / Keda Municipality

C.1.2

C.1.3 ქვეყნის ჩიონი / კოსტაყას 1
Georgia

C.1.4 246762061 (პ/ნ ან ს/ნ / Personal number or ID number)
C.4 (a) საკონსტრუქტო საშუალების მფლობელი
Owner of the vehicle

H ...

(გაუქმების თარიღი / Expiration date)

BV A0729999

მოქმედს უფლებას აქვს მომსახურების სააგენტოს მიერ
Certificate is issued by Service Agency of MSA





საფრ. ნომ. / საავტომობილო საფრ. ნომერი	Vehicle identification number	E	ZCFB51LJ802747265
საფრ. ნომ. / საფრ. ნომერი	Vehicle identification number	F.1	15000
Max. tech. permissible load (kg)	Max. tech. permissible load (kg)	F.2	15000
ტვირთვალი / ტვირთი (კგ)	Load (kg)	G	9520
ტვირთვალი / ტვირთი (კგ)	Load (kg)	P.1	5880
ტვირთვალი / ტვირთი (კგ)	Load (kg)	P.2	185
ტვირთვალი / ტვირთი (კგ)	Load (kg)	P.3	გარეული Diesel
ტვირთვალი / ტვირთი (კგ)	Load (kg)	P.5	
ტვირთვალი / ტვირთი (კგ)	Load (kg)	Q	
ტვირთვალი / ტვირთი (კგ)	Load (kg)	II	საფრ. ნომ. / საფრ. ნომერი

GG692XG

საფრ. ნომ. / საფრ. ნომერი



საფრ. ნომ. / საფრ. ნომერი
Number of seats
საფრ. ნომ. / საფრ. ნომერი
Number of standing places

საფრ. ნომ. / საფრ. ნომერი
საფრ. ნომ. / საფრ. ნომერი
საფრ. ნომ. / საფრ. ნომერი

საფრ. ნომ. / საფრ. ნომერი



ქედის მუნიციპალიტეტის
2024 წლის 3 თვის ბიუჯეტის
შესრულების მიმოხილვა



ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 3 თვის ბიუჯეტის
მაჩვენებლები

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის 3 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
შემოსავლები	25 661 903,00	4 203 903,00	4 444 802
გადასახადები	16 690 800,00	3 553 600,00	3 832 211
გრანტები	8 401 103,00	522 803,00	520 298
სხვა შემოსავლები	570 000,00	127 500,00	92 294
ხარჯები	16 695 113,00	4 525 413,00	4 092 142
შრომის ანაზღაურება	6 780 620,00	2 016 190,00	1 905 049
საქონელი და მომსახურება	4 110 287,11	973 047,11	824 576
პროცენტი	18 400,00	0,00	0
სუბსიდიები	2 966 580,00	799 350,00	738 475
სოციალური უზრუნველყოფა	1 533 749,03	405 349,03	321 210
სხვა ხარჯები	1 285 476,86	331 476,86	302 832
საოპერაციო სალდო	8 966 790,00	-321 510,00	352 660
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9 807 390,00	451 640,00	420 191
ზრდა	9 837 390,00	451 640,00	420 191
კლება	30 000,00	0,00	0,00
მთლიანი სალდო	-840 600,00	-773 150,00	-67 531
ფინანსური აქტივების ცვლილება	-868 600,00	-773 150,00	-67 531
ზრდა	0,00	0,00	0,00
ვალუტა და დეპოზიტები	0,00	0,00	0,00
სესხები	0,00	0,00	0,00
კლება	868 600,00	773 150,00	67 531
ვალუტა და დეპოზიტები	868 600,00	773 150,00	67 531
ვალდებულების ცვლილება	-28 000,00	0,00	0,00
საშინაო	-28 000,00	0,00	0,00
კლება	28 000,00	0,00	0,00
საშინაო	28 000,00	0,00	0,00
ბალანსი	0,00	0,00	0,00



ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები,
გადასახდელები

შემოსულობების დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის 3 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
შემოსულობები	25 691 903	4 203 903	4 444 802
შემოსავლები	25 661 903	4 203 903	4 444 802
არაფინანსური აქტივების კლება	30 000	0	0
გადასახდელები	26 560 503	4 977 053	4 512 333
ხარჯები	16 695 113	4 525 413	4 092 142
არაფინანსური აქტივების ზრდა	9 837 390	451 640	420 191
ვალდებულებების კლება	28 000	0	0
ნაშთის ცვლილება	-868 600	-773 150	-67 531

ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის I კვარტლის ბიუჯეტის
შემოსულობები

ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლისათვის მიღებულია 520 297.86 ლარის გრანტი, მათ შორის: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 321 657.32 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 198 640.54 ლარი, გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 3 832 210.56 ლარი, მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი 3 828 430.3016 ლარი, ქონების გადასახადი - 3 780.26 ლარი, სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა 92 293.55 ლარი, მათ შორის: შემოსავლები საკუთრებიდან 61 683.45 ლარი, საქონელი და მომსახურების რეალიზაციიდან 6 927.51 ლარი, სანქციები, ჯარიმები და საურავები 7 784.80 ლარი, ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული 15 897.79 ლარი.



ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 3 თვის ბიუჯეტის
ფაქტიური შემოსულობები


#	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
1	შემოსავლები	4 444 802	
1.1	გადასახადები	3 832 211	86%
1.2	გრანტები	520 298	12%
1.3	სხვა შემოსავლები	92 294	2%
ჯამი		4 444 802	100 %

შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით

შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქედის მუნიციპალიტეტის **2024** წლის I კვარტლის


ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები





#	შემოსულობების დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის 3 თვე			
			გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულება%
1	შემოსავლები	25 661 903	4 203 903	4 444 802	240 899	105,73%
1,1	გადასახადები	16 690 800	3 553 600	3 832 211	278 611	107,84%
1,2	გრანტები	8 401 103	522 803	520 298	-2 505	99,52%
1,3	სხვა შემოსავლები	570 000	127 500	92 294	-35 206	72,39%
2	არაფინანსური აქტივების კლება	30 000	0	0	0	0
ჯამი		25 691 903	4 203 903	4 444 802	240 899	105,73%

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მოხილზებული შემოსულობები წლიური გეგმიური მაჩვენებლის 17 % -ია.





შემოსავლები

ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 3 თვის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 4 203 903 ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 4 444 802 ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 105.73%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და ფინანსურ დახმარებას, სხვა შემოსავლებს.

გადასახადები

ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 3 თვის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 3 832 211 ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 3 553 600 ლარის 107.84%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 86%-ს.

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქონების გადასახადი – ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 3 თვის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა – 3 780.26 ლარი, კერძოდ: საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 2 031.72 ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 179.92 ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 1 065.62 ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 503 ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადები - მიმდინარე პერიოდის გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 3 552 600 ლარს, ხოლო საკასო - 3 828 430.30 ლარს, შესრულდა 107.76%-ით. კერძოდ, გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან - 1 636 856.68 ლარი და გადასახადი იმპორტირებული პროდუქციიდან - 2 191 573.86 ლარი.



გრანტები

2024 წლის 3 თვის განმავლობაში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 520 297.86 ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 522 803 ლარს, გეგმა შესრულდა 99.52%-ით.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 520 297.86 ლარს შეადგენს, მათ შორის: კაპიტალური ტრანსფერის სახით - 321 657.32 ლარი, სპეციალური ტრანსფერის სახით - 47 537.54 ლარი და რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სპეციალური ტრანსფერი - 151 103 ლარი (სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების გაწევის მიზნით).

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 12%-ია.

#	შემოსულობების დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის 3 თვე		
			გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა
1	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	7 651 103	522 803	520 298	-2 505
1,1	სპეციალური ტრანსფერი	350 000	50 000	47 537,54	-2 462
1,2	კაპიტალური ტრანსფერი	7 150 000	321 700	321 657	-43
1,3	რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი	151 103	151 103	151 103,00	0
ჯამი		7 651 103	522 803	520 298	-2 505



სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2024 წლის 3 თვის საპროგნოზო მოცულობა 127 500 ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 92 293,55 ლარი, ანუ გეგმის 72.39%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 2%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 61 683.45 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (54 250 ლარი) 113.70%-ია. მათ შორის:

- პროცენტებიდან მობილიზებულია 24 881.91 ლარი, რაც პირველი კვარტლის გეგმის - 35 000 ლარის 71.09%-ს შეადგენს.

- რენტის სახით მიღებულია 36 881.91 ლარი, რაც მეორე კვარტლის გეგმის (19 250 ლარი) 191.18%-ია.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 6 927.51 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (14 250 ლარი) 48.61%-ია. აქედან,

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით _ 2 727.51 ლარი.


- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან _ 4 200 ლარი.

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 7 784.80 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (9 000 ლარის) 86.50%-ია.

ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებულის სახით მობილიზებულია 15 897.79 ლარი, რაც მეორე კვარტლის გეგმის (50 000 ლარი) 31.80%-ია.



ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 3 თვის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები



- შემოსავლები საკუთრებიდან
- საქონელისა და მომსახურების რეალიზაცია
- ჯარიმები, სანქციები და საურავები
- ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 6 თვის სხვა შემოსავლები

შემოსულობების დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის 3 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
სხვა შემოსავალი	570 000,00	127 500,00	92 293,55
შემოსავალი საკუთრებიდან	257 000,00	54 250,00	61 683,45
პროცენტი	140 000,00	35 000,00	24 881,91
რეზიდენტებისგან, სხვა სამთავრობო სექტორის გარდა	140 000,00	35 000,00	24 881,91
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	140 000,00	35 000,00	24 881,91
რენტა	117 000,00	19 250,00	36 801,54



მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	114 000,00	18 500,00	36 801,54
მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისათვის	12 000,00	3 000,00	33 000,00
მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის	60 000,00	5 000,00	1 212,24
მოსაკრებელი გარემოდან ამოღებული ტყის არამერქნული რესურსებით და ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისათვის			79,30
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის	17 000,00	4 250,00	2 480,00
მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე			30,00
სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი	25 000,00	6 250,00	
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	3 000,00	750,00	
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	77 000,00	14 250,00	6 927,51
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	57 000,00	9 250,00	2 727,51
სანებართვო მოსაკრებლები	30 000,00	2 500,00	368,00
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	30 000,00	2 500,00	368,00
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	27 000,00	6 750,00	2 359,51
არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	20 000,00	5 000,00	4 200,00
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	20 000,00	5 000,00	4 200,00
შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0,00	0,00	4 200,00
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან	20 000,00	5 000,00	0,00
სანქციები, ჯარიმები და საურავები	36 000,00	9 000,00	7 784,80




შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	29 000,00	7 250,00	6 784,80
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში	7 000,00	1 750,00	1 804,00
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროებში	2 000,00	500,00	162,44
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	20 000,00	5 000,00	4 698,36
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	17 000,00	4 250,00	3 898,36
სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	3 000,00	750,00	800,00
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელშეწყობი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო			120,00
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	7 000,00	1 750,00	1 000,00
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	200 000,00	50 000,00	15 897,79
მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	200 000,00	50 000,00	15 897,79
სხვა მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	200 000,00	50 000,00	15 897,79
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	200 000,00	50 000,00	15 897,79



ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 3 თვის ბიუჯეტის გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 3 თვის ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა შემდეგნაირად გამოიყურება (იხილეთ დიაგრამა):



ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და
არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში




დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის 3 თვე			
		გეგმა	საკასო შესრულება	შესრუ- ლების %	%-ლი წილი
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	6 486 297	1 340 027	1 188 778	88,71%	26,35%
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 915 897	1 339 027	1 188 778	88,78%	26,35%
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 895 620	1 334 800	1 188 778	89,06%	26,35%
ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	20 277	4 227	0	0,00%	0,00%
ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	18 400	0	0	0,00%	0,00%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	1 552 000	1 000	0	0,00%	0,00%
ეკონომიკური საქმიანობა	2 146 500	263 650	231 017	87,62%	5,12%
სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა,მეთევზეობა და მონადირეობა	13 000	0	0	0,00%	0,00%
სოფლის მეურნეობა	13 000	0	0	0,00%	0,00%
ტრანსპორტი	1 609 500	133 650	125 938	94,23%	2,79%
საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 609 500	133 650	125 938	94,23%	2,79%
ეკონომიკის სხვა დარგები	524 000	130 000	105 079	80,83%	2,33%
ტურიზმი	524 000	130 000	105 079	80,83%	2,33%
გარემოს დაცვა	1 695 500	400 000	389 669	97,42%	8,64%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	1 695 500	400 000	389 669	97,42%	8,64%
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	4 512 465	416 485	401 628	96,43%	8,90%
კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 752 000	10 000	0	0,00%	0,00%
წყალმომარაგება	1 644 465	352 485	351 615	99,75%	7,79%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 116 000	54 000	50 013	92,62%	1,11%
ჯანმრთელობის დაცვა	903 280	190 450	131 172	68,87%	2,91%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	903 280	190 450	131 172	68,87%	2,91%
დასვენება, კულტურა და რელიგია	5 051 800	713 530	648 984	90,95%	14,38%



მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 670 500	212 600	176 750	83,14%	3,92%
მომსახურება კულტურის სფეროში	3 381 300	500 930	472 234	94,27%	10,47%
განათლება	3 913 000	1 138 350	1 058 245	92,96%	23,45%
სკოლამდელი აღზრდა	3 010 000	856 450	781 752	91,28%	17,32%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	903 000	281 900	276 493	98,08%	6,13%
სოციალური დაცვა	1 823 661	514 561	462 841	89,95%	10,26%
სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	32 000	8 000	5 160	64,50%	0,11%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1 791 661	506 561	457 681	90,35%	10,14%
გადასახდელების ჯამი	26 532 503	4 977 053	4 512 334	90,66%	

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის კრილში





საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2024 წლის 3 თვის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 1 340 027 ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 1 188 778 ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 88.71%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, საერთო დანიშნულების სხვა მომსახურების, წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო საკასო ხარჯებში შეადგენს 26.35%-ს.

ეკონომიკური საქმიანობისთვის დაგეგმილი იყო 263 650 ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 231 017 ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 87.62%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 5.12%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს სოფლის მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტი და გზების რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობისა და შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის ფუნქციონირებას.

გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 400 000 ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 389 669 ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 97.42%. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანის ღონისძიებები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 8.90%-ია.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის კომუნალური მეურნეობის განვითარება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის, უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების ხარჯები, პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 416 485 ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 401 628 ლარი შეადგინა, რაც გეგმის 96.43%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 8.90%-ს.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 190 450 ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 131 172 ლარს, რაც დაგეგმილის 68.87%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 2.91%-ს. მასში გაერთიანებულია ამბულატორიული მომსახურების, მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა უზრუნველყოფის, სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობის, თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირტათვის, ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსების, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ხარჯები.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 713 530 ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 648 984 ლარი შეადგინა, რაც გეგმის 90.95%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 14.38%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, სპორტული მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მშენებლობის, სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის და რეაბილიტაციის, სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის, ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის, ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმის, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა



და ხელშეწყობის, ინტელექტუალურის და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში არსებული კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის რემონტის ხარჯები.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 1 138 350 ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 1 058 245 ლარს, ანუ გეგმის 92.96%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდა და განათლების, ერთიან ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შეფასების მქონე სტუდენტების ფულადი ჯილდოთი წახალისების, ა.ა.(ი)პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების, ა.ა.(ი)პ ქედის სასპორტო სკოლის, ა.ა.(ი)პ ქედის სახელოვნებო სკოლის ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 23.45%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 514 561 ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 462 841 ლარი, რაც გეგმის 89.95%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 10.26%-ს. იგი მოიცავს სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის, ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარების, ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების, გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების, ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობის, სამედიცინო და სოციალური რეზილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რეზილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის, ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამის, შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფის, 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარების, საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარების, მარტოხელა სტატუსის მქონე პირებზე ფინანსური დახმარების, ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობი სერვისების თანადაფინანსების, ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის, სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარების ხარჯებს.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 3 თვის ბიუჯეტის გადასახდელებს
ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:



№	დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის 3 თვე			
			გეგმა	საკასო შესრულება	შესრუ- ლების %	%-ლი წილი
1	შრომის ანაზღაურება	6 780 620	2 016 190	1 905 049	94,5%	42,22%
2	საქონელი და მომსახურება	4 110 287	973 047	824 576	84,7%	18,27%
3	პროცენტი	18 400	0	0	0,00%	0,00%
4	სუბსიდიები	2 966 580	799 350	738 475	92,4%	16,37%
5	გრანტები	0	0	0	0,00%	0,00%
6	სოციალური უზრუნველყოფა	1 533 749	405 349	321 210	79,2%	7,12%
7	სხვა ხარჯები	1 285 477	331 477	302 832	91,4%	6,71%
8	არაფინანსური აქტივები	9 837 390	451 640	420 191	93,0%	9,31%
9	ვალდებულებები	28 000	0	0	0,00%	0,00%
გადასახდელების ჯამი		26 560 503	4 977 053	4 512 333	90,7%	0,0%

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 1 905 049 ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 42.22%;

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 824 576 ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 18.27%;

სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 738 475 ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 16.37%;


სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 321 210 ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 7.12%;

სხვა ხარჯებზე გაიხარჯა 302 832 ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 6.71%;

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 420 191 ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 9.31%;



ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში



ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში

პროგრამულ ჭრილში ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 6 თვის
ბიუჯეტის ხარჯებს შემდეგი სახე აქვს:


პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა	2024 წლის გეგმა	2024 წლის 3 თვე		
			გეგმა	საკასო შესრულება	შესრუ- ლების %
1	ქედის მუნიციპალიტეტი	26 560 503	4 977 053	4 512 333	90,66%
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6 514 297	1 340 027	1 188 778	88,71%



01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 895 620	1 334 800	1 188 778	89,06%
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	1 618 677	5 227	0	0,00%
02 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	6 658 965	680 135	632 645	93,02%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 609 500	133 650	125 938	94,23%
02 02	საზაფხულო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება	1 644 465	352 485	351 615	99,75%
02 02 01	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა	1 032 165	190 485	190 472	99,99%
02 02 02	შპს ქედის წყალკანალი	612 300	162 000	161 143	99,47%
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 752 000	10 000	0	0,00%
02 03 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	842 000	0	0	#DIV/0!
02 03 02	ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	500 000	0	0	#DIV/0!
02 03 03	პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა	410 000	10 000	0	0,00%
02 04	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	185 000	52 000	48 013	92,33%
02 05	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა	13 000	0	0	#DIV/0!
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	750 000	0	0	#DIV/0!
02 07	საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა	15 000	2 000	2 000	100,00%
02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	524 000	130 000	105 079	80,83%
02 09	მთების ელექტროფიკაცია (გომის მთა)	166 000	0	0	#DIV/0!
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 695 500	400 000	389 669	97,42%
03 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში	1 695 500	400 000	389 669	97,42%



04 00	განათლება	3 035 000	856 450	781 752	91,28%
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	3 010 000	856 450	781 752	91,28%
04 02	ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ სტუდენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსან მოსწავლეთა ხელშეწყობის პროგრამა	25 000	0	0	#DIV/0!
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	5 929 800	995 430	925 477	92,97%
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2 254 500	408 000	368 403	90,29%
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	3 675 300	587 430	557 074	94,83%
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 726 941	705 011	594 013	84,26%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	903 280	190 450	131 172	68,87%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	1 823 661	514 561	462 841	89,95%





ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით დეტალურად მოცემულია დანართის (დანართი №3) სახით.

ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მოქმედი საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში შეიქმნა სარეზერვო ფონდი 120 000 ათასი ლარის ოდენობით, რაც ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 0.45%-ს შეადგენს. სარეზერვო ფონდიდან სახსრები მიიმართებოდა იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომელიც არ იყო გათვალისწინებული დამტკიცებულ ბიუჯეტში.

2024 წლის 3 თვეში სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 99 723.14 ლარი შეადგინა, დეტალური ინფორმაცია ცხრილის (დანართი №1) სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 3 თვის ბიუჯეტის შემოსულობების (დანართი №2) და გადასახდელების (დანართი №3) შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების 3 თვის შესრულების (დანართი №4) შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის ანგარიშს.

მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

სამსახურის მიერ გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების, სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის შესწავლისა და ანაზღაურების მიზნით. მოქმედებდა სულ 20 მიზნობრივი პროგრამა კერძოდ:

1., „სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა“, რომლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 32 000 ლარს. პროგრამა განახორციელა ტენდერში გამარჯვებული ინდ. მეწარმე შ.პ.ს. „არსი“2-მა და ისარგებლა ყოველთვიურად 25 მოქალაქემ.

2., „ამბულატორიების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა“, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 138 700 ლარს, სადაც გათვალისწინებულია ამბულატორიების ტრანსპორტით მომსახურება.

3., „უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დაკრძალვისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 50 000 ლარს. პროგრამით ისარგებლა 75 ოჯახმა (სარეიტინგო ქულა 100 000-ზე ნაკლები) და თითოეულ ოჯახს გაეწია 500 ლარიანი დახმარება.

4., „ჰემოდიალიზის სეანსებით მოსარგებლე ბენეფიციართა (თანმხლები პირის ერთად) მგზავრობის ღირებულების ანაზღაურების პროგრამა“, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 32 500 ლარს. პროგრამით ისარგებლა 14 მოქალაქემ.

5., „ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების“ პროგრამა, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 86750 ლარს. (გაზით მომსახურების - 59 250, ვეტერანის დღესთან დაკავშირებით ერთჯერადი ფინანსური დახმარება - 23000, აგვისტოს ომის დროს დაღუპული მეომრის ოჯახისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება-2000 ლარის ოდენობით და დახმარება ვეტერანთა გარდაცვალებასთან დაკავშირებით 5 ვეტერანზე 2500) ლარი აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 230 ვეტერანმა.

6., „ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა“, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 105 000 ლარს. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 68-მა ოჯახმა. თითოეულ ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება 1500 ლარის ოდენობით.

7., „საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის“ მიზნობრივი პროგრამის, ბიუჯეტი შეადგენდა 99395 ლარს, რომლის მოსახლეობაზე გაცემა მოხდა შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით და ისარგებლა 91 ოჯახმა.

8., „სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების“ პროგრამა, რომლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 160 665 ლარს. მოსახლეობას ემსახურება 40 მედდა, რომლებიც აღჭურვილი არიან პირველადი მოხმარების მედიკამენტებითა და დამხმარე საშუალებებით. სისტემატიურად ხორციელდება პროგრამის მონიტორინგი.

9., „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის“. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 93 600 ლარს. მობილური გუნდი ყოველთვიურად ადგილზე მისვლით ახდენდა 50-60 ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების მონახულებას, უწევს მათ შესაბამის მომსახურებას და სპეციფიკური მედიკამენტების მიწოდებას.

10., „სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა“, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 50 000 ლარს. ისარგებლა 46 ბენეფიციარი.

11. „მგელი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შეძენ“ის, ბიუჯეტი შეადგენდა 226 800 ლარს. აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებულ 4 ოჯახს აუშენდა კაპიტალური სახლი.

12. 0 დან 18 წლამდე და 18 წელზე მეტი ასაკის პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა (0 დან 18 წლამდე ასაკის პირებზე ყოველთვიურად 100 ლარის, ხოლო 18 წელზე ზემოთ - 200 ლარის ოდენობით). პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 180 000 ლარს პროგრამით სარგებლობს სულ 120 ბენეფიციარი აქედან 69 ოჯახის - 73 ბავშვი 18 წლამდე ასაკის და 18 წელზე მეტის 51 ბენეფიციარი

13. „ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსებ“ის - ბიუჯეტი შეადგენდა 80 000 ლარს, აღნიშნული პროგრამის შესაბამისად 186 ოჯახზე გაცემულია საგარანტიო წერილი მათ მიერ გადასახდელი თანხის დასაფინანსებლად.

14., „მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფ“ის - ბიუჯეტი შეადგენდა 440 000 ლარს, აღნიშნული პროგრამის საფუძველზე გაიცემა შესაბამისი ვაუჩერები. ისარგებლა 2200 მოქალაქემ.

15. პროგრამის შესაბამისად მიმდინარეობს მუშაობა წითელი ჯვრის საზოგადოებასა და ქედის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ერთობლივი პროექტის „საქმიანობთა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის“ ბიუჯეტი შეადგენს 26 200 ლარს.

16., „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფ“ის, პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 8295 ლარს პროგრამით ისარგებლა 16 ბენეფიციარმა.

17., „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარებ“ის. პროგრამის ბიუჯეტი 302,500 ლარს შეადგენს და ისარგებლა 105 ოჯახმა.

18. „0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარებ“ის. პროგრამის ბიუჯეტი 14 400 ლარს შეადგენდა და პროგრამით სარგებლობს ორი ოჯახი, თვეში 600 ლარის ოდენობით.

19. „მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებზე და მარჩენალდაკარგულ ოჯახებზე ფინანსური დახმარებ“-ის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 87600 ლარს. აქედან 2400 ლარი გათვალისწინებული იყო ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ორ მარტოხელა მშობელზე თვეში 100 ლარის ოდენობით, პროგრამით ისარგებლა ერთი ბენეფიციარმა. ხოლო მარჩენალდაკარგულ ოჯახებზე ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 85200 ლარი. რითაც ისარგებლა 45 ოჯახის 72 ბავშვმა.

20. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის სერვისების დაფინანსების“ პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 108 297 ლარს რომელიც ამოქმედდა თებერვლის თვიდან და დასრულდა სექტემბრის თვეში. ყოველთვიურად ისარგებლა 30 ბენეფიციარმა

21. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე „ბინის ქირით უზრუნველყოფის ფინანსური დახმარების ბიუჯეტი შეადგენდა 302500 ლარს, რითაც ისარგებლა 105 ოჯახმა.

გარდა მერიის პროგრამების გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. „საცხოვრებელი უზრუნველყოფის პროგრამაში“ ჩასართავად შუამდგომლობა გაეწია 64 ოჯახს, ასევე სამთავრობო კომისიაზე განსახილველად შუამდგომლობა გაეწია 2 სახლდამწვარ ოჯახს და მეწყერის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების გამაგრებისათვის ფინანსური დახმარების თაობაზე - 55 ოჯახს.

სულ შემოსულია 399 განცხადება საცხოვრებელი სახლებისა და მიმდებარე ტერიტორიების გეოლოგიურად შესწავლასთან დაკავშირებით. შესწავლილია გეოლოგიური სამსახურის მიერ და წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნები, სადაც მითითებულია სხვადასხვა რეკომენდაციები, როგორც ადგილმონაცვლეობა, ასევე საცხოვრებელი სახლის

გამაგრება და მიმდებარე ტერიტორიების ფერდსამაგრი კედლის მოწყობა. დასკვნების საფუძველზე ხდება შესაბამისი რეაგირება.

შუამდგომლობა გაეწია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ჯანმრთელობის პრობლემების მქონე 2 მოქალაქეს. ასევე სამსახური შუამდგომლობით შევიდა მუნიციპალიტეტის მერთან 236 მოქალაქეზე სხვადასხვა ოპერაციებისა და მკურნალობის დასაფინანსებლად.

სამსახური ჩართულია სხვადასხვა კუთხით შექმნილი კომისიების მუშაობაში.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქედის მუნიციპალიტეტის მერია

პირველადი სტრუქტურული ერთეულის

შიდა აუდიტის სამსახურის

2023 წლის ანგარიში

დაბა ქედა

2024 წელი

1. შესავალი

წესდებიდან გამომდინარე პარტნიორთა კრება უნდა ტარდებოდეს წელიწადში ერთხელ მაინც და გადაწყვეტილებებით უნდა ხდებოდეს დირექტორის ანგარიშისა და წლიური შედეგების დამტკიცება. საზოგადოების ბიზნეს გეგმის დამტკიცება და სხვა საკითხები.

2.1. საზოგადოება ახორციელებს საქმიანობას შემდეგი მიმართულებით:

ა) დადგენილი ტარიფების შესაბამისად მგზავრთა გადაყვანა, როგორც დადგენილი მარშრუტებით, ასევე საქართველოს ფარგლებში მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) ტვირთის გადაზიდვა საწარმო-ორგანიზაციებისათვის, ასევე მოსახლეობისათვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისად განსაზღვრული ან ხელშეკრულებით (კონტრაქტით) დადგენილი ტარიფების შესაბამისად;

გ) ავტომანქანების პროფილაქტიკის, რემონტისა და გამართვის სამუშაოების ჩატარება;

დ) საწვავ-საცხები მასალებით ავტომანქანების გასამართი ობიექტების ჩამოყალიბება და მომსახურება;

ე) ავტოგასამართი ნაწილებისა და საწვავ-საცხები მასალების შესყიდვა და მისი კომერციული პირობებით რეალიზაცია.

2.2. საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად, იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2022 წელს მომზადდა მიზნობრივი პროგრამა „დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა“. პროგრამის შემუშავება შესაძლებელი გახდა საქართველოში იაპონიის საელჩოს საგრანტო პროგრამაში ქედის მუნიციპალიტეტის მერიის გამარჯვებით, გრანტის თანხით შეძენილ იქნა ერთი ერთეული ელექტრო მიკროავტობუსი, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 243000 ლარს.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებით „დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა“-ის პროგრამის განმახორციელებელ ორგანოდ განსზღვრულია ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახური.

აღნიშნული პროგრამა გადაცემულია შ.პ.ს. „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ზე სუბსიდირების ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულებით სუბსიდიის გამცემი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი.

პროგრამის განხორციელების მიზნით 2022 წლის 14 თებერვლის ქედის მუნიციპალიტეტის მერის №94.94220458 ბრძანების საფუძველზე ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1(ერთი) ერთეული მოძრავი ქონების (ელექტრო მიკროავტობუსი) პირდაპირი განკარგვის წესით თხოვნის ფორმით 5 (ხუთი) წლით გადაეცა შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს.

2022 წლის ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით „დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა“-ს პროგრამაზე გათვალისწინებული იყო 21500 ლარი, რომელიც მოიცავდა 4 პირის (მძღოლების) შრომის ანაზღაურებას სულ 12000 ლარს, ელექტრო ავტობუსის მიმდინარე რემონტს 1000 ლარს, მიკროავტობუსის დაზღვევას 5200 ლარს, მიკროავტობუსის საბურავების შეძენას 1000 ლარს, სატელეკომუნიკაციო მომსახურებას 300 ლარს, პროგრამის მართვის ხარჯს 2000 ლარს.

შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს მიერ 2022 წლის „დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის შესრულება, იხილეთ დანართი №1-ში.

შპს ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო														დანართი №1	
დაბა ქედში მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფის ხარჯი															
№	დასახელება	სულ (ლარი)	2022 წლის თვეების მიხედვით ხარჯები (ფაქტი)												
			1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	ჯამი
1	შრომის ანაზღაურება	12000	0	0	0	1200	1200	1260	1260	1200	1200	1200	1200	1200	10920
2	ელექტრო ავტობუსის მიმდინარე რემონტი	1000	0	0	0	0	0	0	0	22	22	22	0	0	66
3	მიკროავტობუსის დაზღვევა	5200	0	0	520.8	504	520.8	504	520.8	520.8	504	520.8	504	520.8	5140.8
4	მიკროავტობუსის საბურავი	1000													
5	სატელეკომუნიკაციო მომსახურება	300													
6	პროგრამის მართვის ხარჯი	2000	0	0	0	2	2	2	2	903	2	2	2	2	919
		21500													17045.8

ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის საწყისი ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული „დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფის“-ს პროგრამაში გათვალისწინებული იყო 4 მძღოლი და თითოეულზე განსაზღვრული იყო ყოველთვიურად 250 ლარი, სულ თვეში 1000 ლარი, რაც თორმეტ თვეზე შეადგენდა 12000 ლარს. მაშინ, როცა შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს მიერ დასაქმებული იქნა ოთხის ნაცვლად სამი მძღოლი, რომლებიც დეზულობდენ ყოველთვიურად 250 ლარის ნაცვლად 400 ლარს, რაც თვეში სულ 1200 ლარს შეადგენდა, ანუ გვერდით განსაზღვრულ თითოეულ დასაქმებულზე იხარჯებოდა ყოველთვიურად 150 ლარით მეტი. აღნიშნული შეთანხმებული უნდა ყოფილიყო პარტნიორთან, შეთანხმების დოკუმენტი შპს „ქედის

ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს ხელმძღვანელობის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი. აღნიშნული უზუსტობა მოწესრიგდა 2022 წლის 11 აგვისტოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომით და პროგრამაში შევიდა ცვლილება, რითაც შტატისა და ხელფასების ოდენობები შესაბამისობაში მოვიდა დამტკიცებულ გეგმასთან.

ელექტრო მიკროავტობუსის მწყობრიდან გამოსვლის დროს, რომ არ მომხდარიყო მოქალაქეთა ტრანსპორტირებისთვის უზრუნველყოფის შეფერხება, ყოფილმა დირექტორმა 2022 წლის 01 სექტემბერს შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-სა და ი/მ დარეჯან გორგაძეს შორის გააფორმა №14 ხელშეკრულება, დაბა ქედის ტერიტორიაზე მგზავრთა გადაყვანის/მომსახურების შესყიდვაზე, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენდა 3000 ლარს. ხელშეკრულებით მომსახურებისათვის განსაზღვრული იყო 20 დღე და დღიური მოსახურების ღირებულება შეადგენდა 150 ლარს.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება მომწოდებელმა 2022 წლის 8 სექტემბრამდე 6 დღით უზრუნველყო, რისთვისაც მას ჩაერიცხა 900 ლარი. აღნიშნული თანხა ჩაირიცხა პროგრამით გათვალისწინებული პროგრამის მართვის ხარჯიდან 2830 ლარიდან, აღნიშნულის თაობაზე შთანხმება პარტნიორთან (მუნიციპალიტეტის მერთან) არ ყოფილა.

ელექტრო მიკრო ავტობუსი მინიმალური დანახარჯების გათვალისწინებით უზრუნველყოფს მგზავრთა უწყვეტ გადაადგილებას სრულიად უფასოდ, ავტობუსი ადაპტირებულია შშმ პირებისათვის, ის მოძრაობს ერთიდან ნახევარი საათის ინტერვალით დაბის ტერიტორიაზე, კერძოდ: ტბელ აბუსერიძის, დავით აღმაშენებლის, შოთა რუსთაველისა და 9 აპრილის ქუჩაზე. დამტკიცებული მარშრუტის ყოველდღიური განრიგით იხილეთ დანართი №2-ი.

შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს ხელმძღვანელობის განმარტებით ელექტრო მიკრო ავტობუსს აქვს GPS კონტროლი, რითაც კონტროლდება ავტომობილის მდებარეობის და გავლილი მარშრუტი.

შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს არ აქვს ავტოსადგომი, სადაც შესაძლებელი იქნება მიკრო ავტობუსის გაჩერება და ელექტრორ დაშვებით უზრუნველყოფა, ამიტომ ავტობუსის გაჩერება და ელექტრო ენერგიით დაზუხტვა ხდება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეზოში, რაც საჭიროებს მოგვარებას, ასევე ელექტრო მიკრო ავტობუსის მარშრუტის შესაბამისად გადაადგილებისა და მომხმარებელთა ინფორმირებულობის მიზნით სასურველია ავტობუსის გაჩერების ადგილებში მოეწყოს ელექტრო ტრაფარეტები, სადაც მოცემული იქნება მიკრო ავტობუსის განრიგი და გადაადგილების დრო.

დანართი №2

N	მარშრუტის მისამართი	გასვლის დრო მისამართიდან	ინტერვალი
1	1 გულებიხ ეკლესია	8:25	0:05
	2 ცენტრი-ცხენა	8:30	
	3 ეკნარა (9 აპრილის ქ.)	8:50	
	4 აკვრეთა (რუსთაველის ქ.)	9:05	
	5 ივერია (ყ.მერვაშიძის ქ.)	9:20	
2	1 გულებიხ ეკლესია	9:35	0:15
	2 ეკნარა (9 აპრილის ქ.)	9:50	0:15
	3 აკვრეთა (რუსთაველის ქ.)	10:05	0:15
	4 ივერია (ყ.მერვაშიძის ქ.)	10:20	0:15
3	1 გულებიხ ეკლესია	10:35	0:15
	2 ეკნარა (9 აპრილის ქ.)	10:50	0:15
	3 აკვრეთა (რუსთაველის ქ.)	11:05	0:15
	4 ივერია (ყ.მერვაშიძის ქ.)	11:20	0:15
4	1 გულებიხ ეკლესია	11:35	0:15
	2 ეკნარა (9 აპრილის ქ.)	11:50	0:15
	3 აკვრეთა (რუსთაველის ქ.)	12:05	0:15
	4 ივერია (ყ.მერვაშიძის ქ.)	12:20	0:15
5	1 გულებიხ ეკლესია	12:35	0:15
	2 ეკნარა (9 აპრილის ქ.)	12:50	0:15
	3 აკვრეთა (რუსთაველის ქ.)	13:05	0:15
	4 ივერია (ყ.მერვაშიძის ქ.)	13:20	0:15
6	1 გულებიხ ეკლესია	13:35	0:15
	2 ეკნარა (9 აპრილის ქ.)	13:50	0:15
	3 აკვრეთა (რუსთაველის ქ.)	14:05	0:15
	4 ივერია (ყ.მერვაშიძის ქ.)	14:20	0:15
7	1 გულებიხ ეკლესია	14:35	0:15
	2 ეკნარა (9 აპრილის ქ.)	14:50	0:15
	3 აკვრეთა (რუსთაველის ქ.)	15:05	0:15
	4 ივერია (ყ.მერვაშიძის ქ.)	15:20	0:15
8	1 გულებიხ ეკლესია	15:35	0:15
	2 ეკნარა (9 აპრილის ქ.)	15:50	0:15
	3 აკვრეთა (რუსთაველის ქ.)	16:05	0:15
	4 ივერია (ყ.მერვაშიძის ქ.)	16:20	0:15
9	1 გულებიხ ეკლესია	16:35	0:15
	2 ეკნარა (9 აპრილის ქ.)	16:50	0:15
	3 აკვრეთა (რუსთაველის ქ.)	17:05	0:15
	4 ივერია (ყ.მერვაშიძის ქ.)	17:20	0:15
10	1 გულებიხ ეკლესია	17:30	0:15
	2 ეკნარა (9 აპრილის ქ.)	17:45	0:10
	3 აკვრეთა (რუსთაველის ქ.)	17:55	0:10
	4 ივერია (ყ.მერვაშიძის ქ.)	18:00	0:05
	5 ცენტრი-ცხენა	18:30	0:30

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდირებულია:

ა) ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურმა:

– იზრუნოს დაბის ტერიტორიაზე მიკრო ავტობუსის სადგომისთვის ადგილის გამოყოფისათვის, სადაც აშენდება ავტოსადგომი და ელექტრო ავტობუსისათვის მოეწყობა ელექტრო დამტენი.

ბ) შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-მ:

– ყოველთვიურად პარტნიორს წარუდგინოს ანგარიში პროგრამით გათვალისწინებული ხარჯების ხარჯვის შესახებ.

– პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების გარეშე არ მოახდინოს პროგრამით გათვალისწინებული ხარჯების დაფინანსება.

4 ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლა“- ში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებისა და მიღებული ქონების გამოყენების აუდიტი

ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების სამართლებრივი საფუძველია - ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 04 ივნისის №621 ბრძანება.

წესდების თანახმად ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლის“ ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს:

ა) ბავშთა და მოზარდთა ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში, მათი ფიზიკური აღზრდა და სპორტული დაოსტატება.

ბ) ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდთა შორის, მასობრივი სპორტის განვითარება.

გ) სპორტის სახეობების მიხედვით სელექციის გზით შერჩეული პერსპექტიული ქაბუკი სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელო პროცესის ორგანიზება და მუნიციპალიტეტის ეროვნული ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება.

დ) სასპორტო სკოლის მოსწავლეთათვის (სპორტსმენთათვის), მუნიციპალიტეტის, ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებისათვის შესაბამისი სპორტის სახეობების მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელო ბაზის შექმნა.

ე) თანამედროვე საწვრთნელო პროცესის და მეთოდის დანერგვით, საკუთარი სპორტულ ღონისძიებათა გეგმის შემუშავებით და შესრულებით (აგრეთვე მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული სპორტული ღონისძიებების პროგრამის განხორციელებით) სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნა.

ვ) სამინისტროს ან სხვა ორგანიზაციების რეკომენდაციით სპორტულ – მეთოდური საქმიანობის წარმოება. მონაწილეობის მიღება სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის, სპორტის სახეობათა ფედერაციების და სხვა სპორტული ორგანიზაცია-დაწესებულების მიერ ორგანიზებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, სემინარებში და სხვა ღონისძიებებში;

ზ) სკოლის მოსწავლეთათვის (სპორტსმენთათვის) სამედიცინო დიაგნოსტიკური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესის ორგანიზება;

2. თავისი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად სკოლა ეტაპობრივად ახორციელებს სკოლისგარეშე სასპორტო საწვრთნელო საქმიანობას სპორტის შემდეგ სახეობებში:

ა) პირველი დაწყებითი ეტაპი - საერთო ფიზიკური და დაწყებითი განათლება, რომელიც მოიცავს:

აა) მოძრაობის სახალისო სპორტული თამაშობების შესწავლასა და მათში მონაწილეობის მიღებას;

აბ) სპორტის საფუძვლებისა და ეროვნული სპორტული მემკვიდრეობის გაცნობას;

აგ) ჯანსაღი ცხოვრების წესის აღქმას და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას, სპორტულ-პატრიოტული სულის ჩამოყალიბებას;

ად) მოსწავლე სპორტსმენის მომზადებას შესაბამისად შემდგომ საწვრთნელ ეტაპზე გადასასვლელად.

ბ) მეორე (საბაზო – საორგანიზაციო) ეტაპის საწვრთნელო სასპორტო საქმიანობა მოიცავს:

ბა) პირველ (დაწყებით) ეტაპზე შეძენილი ცოდნისა და ფიზიკური ვარჯიშების სრულყოფასა და ფიზიკური კონდიციების ამაღლებას;

ბბ) შესაბამისი უნარ-ჩვევების გადრმავეებას;

ბგ) სპორტის კონკრეტული სახეობის დაუფლებაზე ორიენტირებულ მომზადებას და შესაბამის სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას;

ბდ) დამოუკიდებლად ვარჯიშების უნარ-ჩვევების გამომუშავებას;

ბე) მოსწავლის (სპორტსმენის) მომზადებას შემდგომი წვრთნის ეტაპზე გადასასვლელად.

გ) მესამე საშუალო ეტაპის – სპორტული დახელოვნებისა და სრულყოფის სასპორტო საქმიანობა მოიცავს:

გა) წვრთნის პროცესის აქტივიზაციას;

გბ) არჩეულ სპორტის სახეობაში შეძენილი სპორტული მომზადების, სპორტული ცოდნისა და უნარ-ჩვევების რეალიზებას;

გგ) სპორტულ შეჯიბრებებზე მაქსიმალურად მაღალი შედეგების ჩვენებას და უმაღლესი სპორტული შედეგების მისაღწევად მომზადებას;

გდ) მოსწავლის (სპორტსმენის) მომზადებას შესაბამისად შემდგომი წვრთნის ეტაპზე გადასასვლელად.

დ) მეოთხე (უმაღლესი) ეტაპის-უმაღლესი სპორტული დაოსტატების სასპორტო საქმიანობა მოიცავს:

და) მაღალი სპორტული შედეგების ჩვენებას, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე;

დბ) მოსწავლეების (სპორტსმენების) მზადებას ეროვნული ნაკრები გუნდების წევრობის ან წევრობის კანდიდატობისათვის.

3. სკოლის სასპორტო – საწვრთნელო პროცესის ძირითად ფორმებს წარმოადგენს:

ა) ჯგუფური საწვრთნელო და თეორიული მეცადინეობები;

ბ) ინდივიდუალური წესით მეცადინეობები, რომელიც (ინდივიდუალური და პერსპექტიული გეგმების შესაბამისად) აუცილებელია დახელოვნებისა და უმაღლესი დაოსტატების ეტაპებზე;

გ) სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში მონაწილეობა (როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ);

სასპორტო მომზადების, უნარ-ჩვევების გამოვლენისა და კონტროლის ფორმებია: მიმდინარე (ვარჯიშის შესრულება) და პერიოდული (სპორტული შეჯიბრებები, ნაჩვენები შედეგები და სხვ.) დაკვირვება და ანალიზი.

ამდენად, მონიტორინგით გაირკვა, რომ ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლის“ მიერ 2021-2022 წლებში განხორციელებული ღონისძიებების შესრულების მდგომარეობა,

წარმოდგენილი დოკუმენტებით, შესაბამისობაშია დამტკიცებული წესდების ძირითად საკმარისობასთან.

ა(ა)იპ „ქედის სასპორტო სკოლის“- 2021-2022 წლების ბიუჯეტის შესრულებისა და ბუღალტრული აღრიცხვა ანგარიშგების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობა.

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ა.ა.ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლის“- 2021 წლის დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნება (არაფინანსური აქტივების ჩათვლით) განისაზღვრა 367650 ლარით, ამავე პერიოდში გაწეულია საკასო ხარჯი 363418,77 ლარის ოდენობით, ანუ გეგმა შესრულებულია 98,85%-ით.

მუხლობრივ ჭრილში 2021 წლის შესრულება შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

– შრომის ანაზღაურების მუხლით საკასო შესრულებამ შეადგინა 145096,34 ლარი.

– შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ანაზღაურებამ შეადგინა 15743 ლარი.

– მივლინებაზე გახარჯულია 1995 ლარი.

– ოფისის ხარჯების მუხლით დაიხარჯა 35895,7 ლარი. საიდანაც 2896,7 ლარი შეადგენს საკანცელარიო მასალების ხარჯს, 4450 ლარი საოფისე ინვენტარის შეძენაზე გაიხარჯა, 15391,5 ლარი ოფისისთვის საჭირო საგნების ხარჯმა შეადგინა, 3499 ლარი რეცხვისა და ქიმიკატების ხარჯზე გაწეული, 50 ლარი საოფისე ტექნიკის მოვლა შენახვის ხარჯია, 3278,5 ლარი კავშირგაბმულობის ხარჯმა შეადგინა და 6330 ლარი დაიხარჯა ელექტრო ენერგიის მიწოდებისათვის.

– წარმომადგენლობითმა ხარჯმა 1971 ლარი შეადგინა.

– სამედიცინო ხარჯმა შეადგინა 4610 ლარი.

– რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლით დაიხარჯა 18937,3 ლარი.

– ტრანსპორტის ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვისათვის გახარჯულია 17122,73 ლარი. რომელიც მოიცავს 11637,73 ლარს საწვავის ხარჯს, 3035 ლარს სათადარიგო ნაწილების ხარჯს და 2450 ლარს ავტომანქანის რემონტის ხარჯს.

– სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯმა 10499 ლარი შეადგინა.

– ტრანსფერები რომელიც სხვაგან არაა კლასიფიცირებული 6008 ლარს შეადგენს.

– არაფინანსური აქტივების მუხლით გახარჯულია 105540,7 ლარი, საიდანაც 36545,7 ლარი შეადგენს შენობა-ნაგებობის მშენებლობის ხარჯს, ხოლო 68995 ლარი სატრანსპორტო საშუალების შეძენის ხარჯია.

2022 წელს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო ა.ა.ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლის“-თვის 402000 ლარი, ამავე პერიოდში გაწეულია საკასო ხარჯი 396429,39 ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 98,61%-ით.

მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირია:

შრომის ანაზღაურების მუხლით საკასო შესრულებამ შეადგინა 171363,67 ლარი. საიდანაც თანამდებობრივი სარგო იყო 164063,67 ლარი, ხოლო ჯილდომ შეადგინა 7300 ლარი. აღნიშნული შრომის ანაზღაურების დანახარჯი 2021 წლის მაჩვენებელს 18967,33 ლარით აღემატება, რაც ძირითადად ხელფასების მატებითაა განპირობებული.

– შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ანაზღაურების მუხლით გაიხარჯა 56841,15 ლარი, რაც 2021 წელთან შედარებით 41098,15 ლარით მეტია, რაც განპირობებულია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა გაზრდით, კერძოდ 2021 წელს დასაქმებული იყო 4 კაცი, ხოლო 2022 წელს კი 13 კაცი დასაქმდა.

– მივლინებაზე გახარჯულია 5780 ლარი. 2021 წელთან შედარებით გაიზარდა 3785 ლარით მეტი.

– ოფისის ხარჯების მუხლით დაიხარჯა 37760,69 ლარი. საიდანაც 1900 ლარი შეადგენს საკანცელარიო მასალების ხარჯს, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენაზე გაიხარჯა 3425 ლარი, საოფისე ინვენტარის შეძენაზე დაიხარჯა 4137 ლარი, ოფისისთვის საჭირო საგნების და მასალების შეძენაზე გაიხარჯა 11965 ლარი, 300 ლარი საოფისე ტექნიკის მოვლა შენახვის ხარჯია, 6940,9 ლარი კავშირგაბმულობის ხარჯია და 9092,39 ლარი ელექტრო ენერგიის ხარჯმა შეადგინა.

– წარმომადგენლობითმა ხარჯმა 2500 ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 529 ლარით მეტია.

– სამედიცინო ხარჯი 3000 ლარს შეადგენს.

– რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლით დაიხარჯა 4440 ლარი.

– ტრანსპორტის ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვისათვის გახარჯულია 28878,39 ლარი. აღნიშნული 11755,66 ლარით აღემატება 2021 წლის მაჩვენებელს. რომელიც მოიცავს საწვავის ხარჯს 19707,09 ლარს, 7439 ლარის სათადარიგო ნაწილების ხარჯს და 1732,3 ლარის რემონტის ხარჯს.

– სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე დაიხარჯა 19751,18 ლარი, საიდანაც 1000 ლარი იყო რეკლამის ხარჯი, 14451,18 ლარი კულტურულ სპორტულ და 4300 ლარი გახარჯულია სხვა საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე.

– სოციალური უზრუნველყოფის კუთხით გაიცა 1526,31 ლარი.

– სხვა ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შეადგენს 24355 ლარს, რაც წინა წელთან შედარებით 18347 ლარით მეტია. აღნიშნული თანხა იხარჯება გასვლითი სპორტული ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, ამისთვის იწერება ბრძანება, რომელშიც მითითებულია ღონისძიების დასახელება, სპორტსმენთა რაოდენობა და მწვრთნელთა ვინაობა. თანხა ირიცხება მწვრთნელების ანგარიშზე ავანსად, დღიური ნორმის, ტრანსპორტისა და სასტუმროს ხარჯის ასანაზღაურებლად, რის თაობაზეც ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტებს წარმოადგენს ორგანიზაციაში მწვრთნელი. 2022 წელს ხარჯის გაზრდა წინა წელთან შედარებით გამოიწვია მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდის საზღვარგარეთ კრძოლ სომხეთის რესპუბლიკაში გამგზავრებით, რაზეც დაიხარჯა 13740 ლარი, ასევე წარმატებულ მწვრთნელთა და სპორტსმენთა ჯილდოს ხარჯის გაწევით, რომელმაც შეადგინა 8750 ლარი.

არაფინანსური აქტივების მუხლით გახარჯულია 40233 ლარი, საიდანაც 1730 ლარი დაიხარჯა ღონისძიების ხარჯი (მაისურები, საჩუქრები და პირო ტექნიკა), 31233 ლარით შეძენილია ჭიდაობის ლეიბი და გადასაფარებელი ხალიჩა,

2350 ლარი კონდიციონერის შეძენა, 2110 ლარი თანამშრომელთა გამოცხადების აღრიცხვის სისტემა, 900 ლარი ბანერების შეძენა, 1360 ლარი კონდიციონერის შეძენა, 550 ლარით შეძენილია ერთ კარიანი მაცივარი.

გაფორმებული ხელშეკრულებების მონიტორინგი

მონიტორინგით დადგინდა, რომ 2021 წელს ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლის“- მიერ დაიდო სულ 44 ხელშეკრულება სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან

204207,23 ლარზე, საიდანაც ათვისებულია 200656,47 ლარი, ხოლო 2022 წელს 44 ხელშეკრულება დაიდო 142656,11 ლარზე, საიდანაც ათვისებამ შეადგინა 141096,28 ლარი, თითოეული ხელშეკრულების ნომერი, ღირებულება, გადახდილი თანხის ოდენობა, მომწოდებლის დასახელება იხილეთ დანართი №01 და №02-ში.

დანართი №1

ა. (ა). ი. ა. ქედის სასაბურთო სკოლის მიერ 2021 წელს დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების შესრულების შესახებ

	ხელშეკრულება	ხელშეკრულების რიგი	ტენდერის ნომერი	მომწოდებლის დასახელება	ხელშეკრულების თანხა	გასული წლების თანხა	მიმდინარე 2022 წლის გადახდა	სულ გადახდა ხელშეკრულებაზე
1	03-12/01	08/01/2020	CON190000597-00049	შპს შპს სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი	5,501.00	4,977.53	448.98	5,426.51
2	03-12/15	11/03/2020	CMR200052401	სს სს სილქეტი	1,788.00	1,483.42	272.08	1,755.50
3	03-12/10	09/03/2018	CMR180066707	სს სს სილქეტი	4,250.00	2,905.91	1,126.70	5,389.70
4	03-12/01	26/01/2021	CON200000296-00067	შპს შპს სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი	7,950.00	0.00	7,134.51	7,553.01
5	03-12/02	08/02/2021	CMR210028724	შპს შპს მიგა +	9,000.00	0.00	9,000.00	9,000.00
6	03-12/03	08/02/2021	CMR210028730	ი/მ ეშვარ ჯორჯაძე	3,500.00	0.00	3,499.00	3,499.00
7	03-12/04	08/02/2021	CMR210028734	ი/მ მზიური ჯორჯაძე	800.00	0.00	795.00	795.00
8	03-12/06	09/03/2021	CMR210044335	შპს შპს კანტუმი	2,300.00	0.00	0	0
9	03-12/07	15/03/2021	CMR210044343	სს სს სილქეტი	1,788.00	0.00	879.72	879.72
10	03-12/05	09/03/2021	CON200000318-00637	შ.პ.ს. „რომპეტროლ საქართველო“	1,820.00	0.00	1,806.92	1,806.92
11	03-12/08	22/03/2021	CMR210052490	შპს შპს გლობალ პლიუსი	1,189.00	0.00	1,189.00	1,189.00
12	03-12/09	06/04/2021	CMR210053336	შპს შპს მიგა	1,435.00	0.00	1,435.00	1,435.00
13	03-12/10	08/04/2021	CMR210053654	შპს შპს დათა-07	3,200.00	0.00	3,200.00	3,200.00
14	03-12/11	12/04/2021	CMR210053664	ი/მ ედუარდ ჯაფარიძე	2,400.00	0.00	2,000.00	2,000.00
15	03-12/12	29/04/2021	NAT210002292	შპს შპს მშენებელი 2020	31,778.83	0.00	31,603.80	31,603.80
16	03-12/13	11/06/2021	CMR210073955	შპს შპს ზენდიდი 2015	4,840.00	0.00	4,840.00	4,840.00
17	03-12/14	17/06/2021	CMR210077421	შპს შპს კანტუმი	2,510.00	0.00	2,510.00	2,510.00
18	03-12/15	21/06/2021	CMR210077430	შპს შპს სადისტრიბუციო კომპანია არჩევი	225.00	0.00	225.00	225.00
19	03-12/17	22/06/2021	CMR210077807	ი/მ ამირან ზერიძე	2,100.00	0.00	2,100.00	2,100.00
20	03-12/16	21/06/2021	CMR210078639	ი/მ კარენ მინაშვილი	3,150.00	0.00	3,150.00	3,150.00
21	03-12/18	29/06/2021	CMR210080477	შპს შპს მარინა ქედა	2,000.00	0.00	2,000.00	2,000.00
22	03-12/19	02/07/2021	CMR210081944	შპს შპს გლობალ პლიუსი	330.00	0.00	330.00	330.00
23	03-12/20	06/07/2021	CMR210083084	შპს შპს კანტუმი	800.00	0.00	800.00	800.00
24	03-12/22	12/07/2021	CMR210084850	ი/მ ამირან ზერიძე	350.00	0.00	350.00	350.00
25	03-12/21	09/07/2021	NAT210011661	შპს შპს ზენდიდი 2015	4,850.00	0.00	4,850.00	4,850.00
26	03-12/23	26/07/2021	NAT210012565	ი/მ გიორგი ელიკაშვილი	68,995.00	0.00	68,995.00	68,995.00
27	03-12/24	29/07/2021	CMR210091339	ი.ა. მალაზაზ საწმინდე	2,000.00	0.00	1,971.00	1,971.00
28	03-12/25	11/08/2021	CMR210095157	შპს შპს მირა	50.00	0.00	50.00	50.00

29	03-12/28	18/10/2021	CMR210116798	შპს შპს ენვიმეი ჯგუფი	1,100.00	0.00	1,100.00	1,100.00
30	03-12/26	29/09/2021	CMR210115306	სს სს სილქნეტი	2,500.00	0.00	1,000.00	1,785.48
31	03-12/29	20/10/2021	NAT210018798	შპს შპს ტასი	4,941.90	0.00	4,941.90	4,941.90
32	03-12/26	31/08/2021	CON200000293-00514	შ.პ.ს. „რომპეტროლ საქართველო	2,570.00	0.00	2,247.32	2,929.43
33	03-12/29	10/11/2021	CMR210125644	შპს შპს გლობალ პლიუსი	2,335.00	0.00	2,335.00	2,335.00
34	03-12/30	26/11/2021	CMR210131932	შპს შპს ზენდიდი 2015	3,500.00	0.00	3,500.00	3,500.00
35	03-12/32	20/12/2021	CMR210145034	შპს შპს კანტელები	3,400.00	0.00	3,400.00	3,400.00
36	03-12/31	15/12/2021	CMR210141972	შპს შპს პრინტ-ოფისი	250.00	0.00	250.00	250.00
37	03-12/34	21/12/2021	NAT210022900	შპს შპს ზენდიდი 2015	2,499.00	0.00	2,499.00	2,499.00
38	03-12/35	21/12/2021	CMR210146708	შპს შპს კანტელები	800.00	0.00	800.00	800.00
39	03-12/39	23/12/2021	CMR210148328	შპს შპს მიგა +	1,811.50	0.00	1,811.50	1,811.50
40	03-12/38	23/12/2021	CMR210148413	ი/შ ედუარდ ჯგუფი	2,385.00	0.00	2,385.00	2,385.00
41	03-12/40	23/12/2021	CMR210148740	შპს შპს მიგა	1,600.00	0.00	1,600.00	1,600.00
42	03-12/37	23/12/2021	CMR210148810	ი/შ ეშპარ გორგაძე	1,180.00	0.00	1,180.00	1,180.00
43	03-12/36	27/12/2021	CMR210151105	ი/შ შიორი გორგაძე	1,035.00	0.00	1,035.00	1,035.00
44	03-12/41	28/12/2021	CMR210152010	ი/შ ეშპარ გორგაძე	1,400.00	0.00	1,400.00	1,400.00
					204,207.23	9,366.86	188,046.43	200,656.47

დანართი №2

ა. (ა) ი.პ. ქედის სასაპორტო სკოლის მიერ 2022 წელს დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების შეძენის შედეგები

	ხელშეკრულება	ხელშეკრულების თარიღი	ტენდერის ნომერი	მომწოდებლის დასახელება	ხელშეკრულების თანხა	გასული წლების თანხა	მიმდინარე წლის გადახდა	სულ გადახდა ხელშეკრულებაზე
1	3-12/01	10/01/2022	CMR220002951	შპს "იფიტი"	3,000.00	0.00	3,000.00	3,000.00
2	03-12/26	29/09/2021	CMR210115306	სს სს სილქნეტი	2,500.00	1,000.00	785.48	1,785.48
3	03-12/26	31/08/2021	CON200000293-00514	შ.პ.ს. „რომპეტროლ საქართველო	2,935.00	2,247.32	682.11	2,929.43
4	03-12/10	09/03/2018	CMR180066707	სს სს სილქნეტი	5,570.00	4,032.61	1,263.70	5,389.70
5	03-12/01	26/01/2021	CON200000296-00067	შპს შპს სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი	7,950.00	7,134.51	418.50	7,553.01
6	03-12/2	11/01/2022	CON210000492-00432	შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია	17,888.00	0.00	16,624.17	17,591.75
7	03-12/04	24/02/2022	CMR220037166	სს სს სილქნეტი	5,000.00	0.00	4,891.72	5,041.72
8	03-12/05	01/02/2022	CMR220037386	შპს, შპს დიაგნოსტიკა-აქარა	100.00	0.00	100.00	100.00
9	03-12/08	14/03/2022	CMR220043064	შ.პ.ს. „თეგეტა თრაქტ ბას"	1,580.00	0.00	1,574.00	1,574.00
10	03-12/09	16/03/2022	CON210000540-00625	შპს შპს თეგეტა რითილი	160.00	0.00	158.30	158.30

11	03-12/09	29/03/2022	CMR220049138	შპს შპს ზენდიდი 2015	751.40	0.00	751.40	751.40
12	03-12/10	30/03/2022	CMR220049757	შპს შპს ნიუტეტი	2,110.00	0.00	2,110.00	2,110.00
13	03-12/11	31/03/2022	CMR220050380	შპს შპს ვისტა	900.00	0.00	900.00	900.00
14	03-12/14	04/04/2022	CMR220051505	ი/მ ემზარ გორგაძე	2,700.00	0.00	2,700.00	2,700.00
15	03-12/13	04/04/2022	CMR220051527	შპს შპს შიგა +	2,500.00	0.00	2,500.00	2,500.00
16	03-12/15	05/04/2022	CMR220051729	შპს შპს ზენდიდი 2015	2,200.00	0.00	2,200.00	2,200.00
17	03-12/09	07/03/2022	CON210000493-00111	შპს შპს სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი	1,982.31	0.00	1,982.31	1,982.31
18	03-12/16	14/04/2022	CMR220056887	შპს შპს კუპერპანტერ	2,350.00	0.00	2,350.00	2,350.00
19	03-12/19	21/04/2022	CMR220058755	შპს შპს მარინა ქუდა	1,700.00	0.00	1,700.00	1,700.00
20	03-12/20	21/04/2022	CMR220059052	ფ/მ მიხეილ თურმანიძე	300.00	0.00	300.00	300.00
21	03-12/18	20/04/2022	CMR220061236	შპს შპს კუპერპანტერ	1,360.00	0.00	1,360.00	1,360.00
22	03-12/17	19/04/2022	CMR220061247	შპს შპს თევზა რითილი	459.00	0.00	459.00	459.00
23	03-12/17	13/04/2022	CMR220061253	შპს შპს თევზა რითილი	1,320.00	0.00	1,320.00	1,320.00
24	03-12/21	18/05/2022	CMR220069329	სს ელიტ ელექტრონიკა	550.00	0.00	550.00	550.00
25	03-12/22	25/05/2022	CMR220071612	შპს შპს ზენდიდი 2015	4,730.00	0.00	4,730.00	4,730.00
26	03-12/23	31/05/2022	NAT220008330	შპს შპს ზენდიდი 2015	2,500.00	0.00	2,500.00	2,500.00
27	03-12/23	28/05/2022	CMR220075150	შპს შპს თევზა რითილი	270.00	0.00	270.00	270.00
28	03-12/25	13/06/2022	CMR220080450	ი/მ დავით მაზაძე	2,500.00	0.00	2,500.00	2,500.00
29	03-12/26	15/06/2022	NAT220008934	შპს შპს ზენდიდი 2015	2,500.00	0.00	2,500.00	2,500.00
30	03-12/29	08/07/2022	NAT220011163	შპს შპს ართ-გოლდ	31,233.00	0.00	31,233.00	31,233.00
31	03-12/28	11/07/2022	CMR220090670	შპს შპს კანტუნი	3,822.40	0.00	3,822.40	3,822.40
32	03-12/30	11/07/2022	CMR220090991	შპს შპს ემზარ გორგაძე	1,000.00	0.00	1,000.00	1,000.00
33	03-12/27	21/06/2022	CMR220091187	შპს შპს თევზა რითილი	1,350.00	0.00	1,350.00	1,350.00
34	03-12/32	12/07/2022	CMR220091245	შპს შპს შიგა	2,200.00	0.00	2,200.00	2,200.00
35	03-12/33	12/07/2022	NAT220011764	შპს შპს ზენდიდი 2015	3,500.00	0.00	3,499.78	3,499.78
36	03-12/35	18/07/2022	CMR220096929	ი/მ ედუარდ ჯაყელი	1,700.00	0.00	1,700.00	1,700.00
37	03-12/36	27/07/2022	CMR220097185	შპს შპს შიგა +	3,286.00	0.00	3,286.00	3,286.00
38	03-12/39	06/09/2022	CMR220109526	შპს შპს FLORA	1,100.00	0.00	1,100.00	1,100.00
39	03-12/41	06/09/2022	CMR220109909	ი/მ ემზარ გორგაძე	2,519.00	0.00	2,519.00	2,519.00
40	03-12/40	06/09/2022	CMR220109905	ი/მ მზიური გორგაძე	1,900.00	0.00	1,900.00	1,900.00
41	03-12/42	12/10/2022	CMR220124909	შპს შპს FLORA	640.00	0.00	640.00	640.00
42	03-12/43	10/11/2022	CMR220138108	შპს შპს კანტუნი	2,300.00	0.00	2,300.00	2,300.00

43	03-12/45	28/11/2022	CMR220146104	შპს შპს სბმ თიმ	4,440.00	0.00	4,440.00	4,440.00
44	03-12/47	20/12/2022	CMR220161855	ი/შ ედუარდ ჯაფელი	1,300.00	0.00	1,300.00	1,300.00
					142,656.11	14,414.44	125,470.87	141,096.28

ა(ა)იპ „ქედის სასპორტო სკოლის“- მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ მას ბალანსზე ყავს ორი ერთეული მიკრო ავტობუსი 1) „FORD TRANZITI“ სახ:№YEA-787, 2001 წელს გამოშვებული, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 4249,89 ლარი და 2) მიკროავტობუსი **Mercedes-Benz**, რომლის ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენს 49848,89 ლარს.

2021 წლის ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით საწვავის (დიზელი) წლიურმა ხარჯმა შეადგინა 11637,73 ლარი, ხოლო 2022 წლის საანგარიშო პერიოდში საწვავის ხარჯი 2021 წელთან შედარებით გაზრდილია 8069,36 ლარით და შეადგინა 19707,09 ლარი. ორგანიზაცია საწვავის ჩამოწერას არ ახდენენ გავლილი კილომეტრების მიხედვით და არ ხდება ყოველთვიური საწვავის ინვენტარიზაცია.

ავტომანქანის რემონტისათვის 2021 წელს გახარჯულ იქნა სათადარიგო ნაწილებზე და რემონტზე 5485 ლარი, ხოლო 2022 წელს 9171,3 ლარი, სულ ორი წლის მანძილზე ავტომანქანის რემონტისათვის გაიხარჯა 14656,3 ლარი.

მონიტორინგის პერიოდში გაირკვა, რომ ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლის“ დირექტორის ბრძანებით შექმნილია მცირეფასიანი ინვენტარისა და სხვა მატერიალური ფასეულობების საინვენტარიზაციო აღწერილობის კომისია. შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არის სპორტული მოედნები, რომელიც გადასაცემია ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლა“-ზე. გადასაცემი მოედნების დასახელებები იხილეთ ცხრილში:

მატერიალური ფასეულობების დასახელება		ნარჩენი საბალანსო ღირებულება
		თანხა
№	1	2
1	სოფ.აგარაში მინი სპორტული მოედანი	9086.88
2	სოფ.კოლოტაურში მინი სპორტული მოედნი.	23094.09
3	სოფ.ახოში მდებარე მინი სპორტული მოედანი	81258.54
4	სოფ.ვაიოში მინი სპორტული მოედანი	103111.29
5	სოფ.ნამლისევში მინი სპორტული მოედანი	61908.86
6	დ.ქედაში 9 აპრილის ქუჩაზე მინი სპორტული მოედანი	69327.68
7	სოფ.წონიარისში მინი სპორტული მოედანი	132812.08
8	სოფ.გულეშში მინი სპორტული მოედანი	66412.14

9	სოფ.ცხენაში მინი სპორტული მოედანი	56627.85
10	სოფ.ძენწმანში მინი სპორტული მოედანი	64021.37
11	სოფელ კვაშტაში მინი სპორტული მოედანი	181102.35
12	სოფ.ზედა მახუნცეთში მინი სპორტული მოედანი	103466.30
13	დქედში აბუსერიძის ქ.№ 16-ის მინი სპორტული მოედანი	284137.98
ჯამი		1236367,41

საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცულობისა და საკადრო პოლიტიკის მდგომარეობა

ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლა“-ში 2021 წელს დამტკიცებული იყო 29 საშტატო ერთეული და 4 შტატგარეშე თანამშრომელი, წლის მანძილზე შტატით გათვალისწინებულ მუშა მოსამსახურეთა მიმართ დარიცხული შრომის ანაზღაურება შეადგენს 145096,34 ლარს, ხოლო შტატგარეშე თანამშრომელთა დარიცხულმა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 15743 ლარი. 2022 წელს შტატით გათვალისწინებული იყო 29 კაცი, რომელთა წლიურმა ანაზღაურებამ შეადგინა 171363,67 ლარი, საიდანაც თანამდებობრივი სარგო იყო 164063,67 ლარი, ხოლო ჯილდო 7300 ლარი. 2022 წელს წინა წელთან შედარებით შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა გაზრდილა 13 ერთეულამდე, რომელთა წლიურმა ანაზღაურებამ შეადგინა 56841,15 ლარი.

ორგანიზაციაში ადამიანური რესურსების მართვა საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა. ადამიანური კაპიტალის სათანადო მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია დამფუძნებელმა და მენეჯმენტმა განსაზღვროს დაწესებულების საქმიანობისთვის საჭირო ადამიანური რესურსების ოპტიმალური რაოდენობა. დასაქმებულთა რაოდენობის არასწორი განსაზღვრა ხშირად თანხების არაეფექტიან და არაპროდუქტიულ ხარჯვას იწვევს. ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლა“-ში წინასწარ არ აქვთ დაგეგმილი თანამშრომელთა მატების ამოცანები, არ გააჩნია სათანადო გათვლები, სადაც დასაბუთებული იქნება თითოეული დასაქმებულის საჭიროება და ექნება გაანგარიშებული თანამშრომლის ხარჯთეფექტურობა.

2022 წელს ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლა“-ში მუშაობდა 11 მწვრთნელი, აქედან 8 მწვრთნელი დასაქმებული იყო ადგილზე სპორტ სკოლაში, ხოლო 3 მწვრთნელი მუშაობდა ქედის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლებში და ყავდათ ჯგუფები. კერძოდ: ნესტანი მახაჟაძე ჭადრაკის მწვრთნელი მუშაობს პირველი მაისის საჯარო სკოლაში, ლიანა თედორაძე ასევე ჭადრაკის მწვრთნელი მუშაობს წონიარისის საჯარო სკოლაში და იმედა მახაჟაძე მაგიდის ჩოგბურთის მწვრთნელი მუშაობს ვაიოს საჯარო სკოლაში.

ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლა“-ში შექმნილი წრეების მუშაობის განრიგი, რაც დამტკიცებულია დირექტორის მიერ, რომელიც მოცემულია ქვემოთ დანართის სახით:

ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლა“-ში წრეების მუშაობის განრიგის შესახებ (დანართი).

№	სახელი, გვარი	სპორტის სახეობა	მეცადინეობის ადგილი	კვირის დღეები					მოსწავლეთა რაოდენობა
				ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	
1	დავით ავალიაშვი	ფრენბურთი	ქანდაქლის საჯარო სკოლა	15-16-ში		15-16-ში		15-16-ში	12
2	ზაზა დოღობერიძე მანუჩარ კიკიაძე გოჩა ფარტენაძე მოთა ფარტენაძე	თავ. ჭიდაობა	ქედის სასპორტო სკოლის დარბაზი	16-17-ში		16-17-ში		15-16-ში	15
3	ხუმბაშვილი მამუკა	კლასიკური ჭიდაობა	ქედის სასპორტო სკოლის დარბაზი		16-17-ში		16-17-ში	15-16-ში	10
4	მარად მახარაძე მარად გორგაძე	ჭრთ. ჭიდაობა	ქედის სასპორტო სკოლის დარბაზი		17-18-ში		17-18-ში	17-18-ში	14
5	იოსებ დიასამიძე	კიბოქანიძე	ქედის სასპორტო სკოლის დარბაზი	16-17-ში		16-17-ში		16-17-ში	15
6	ლიანა თედორაძე	ჭადრაკი	წოწიარის საჯარო სკოლა	13-15-ში	13-15-ში	13-15-ში			10
7	ნესტან მახაჭაძე	ჭადრაკი	ქედის საჯარო სკოლა	15-17-ში		15-17-ში		15-17-ში	12
8	იმედა მახაჭაძე იოსებ მახაჭაძე	მაგიდის ჩოგბურთი	ვაიოს საჯარო სკოლა	15-16-ში	15-16-ში	15-16-ში			10
9	ლერი ბერიძე	გოგონათა ფეხბურთი	ქედის ცენტრალური სტადიონი	17-18-ში	17-18-ში		17-18-ში		12
10	ვაგა დიასამიძე	კალათბურთი გოგონები	ქედის სასპორტო სკოლის დარბაზი		16-18-ში		16-18-ში	16-18-ში	11
11	ბათუ ნაკაშიძე	კალათბურთი ვალები	ქედის სასპორტო სკოლის დარბაზი	15-16-ში		15-16-ში		15-16-ში	15

მწვრთნელებს სამუშაო გეგმები შედგენილი აქვთ 2021 წლის 25 სექტემბრიდან 2022 წლის 15 ივნისამდე, შემდეგ მწვრთნელები გადიან შვებულებაში და ბრუნდებიან 7 სექტემბერს, ასე რომ 15 ივნისიდან 07 სექტემბრამდე მწვრთნელები ფაქტიურად წვრთნებს აღარ ატარებენ, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, როცა ტურნირია ჩანიშნული მაშინ მიმდინარეობს მეცადინეობები.

შემოთ დასახელებულ თერთმეტ სპორტულ სახეობაში დასაქმებულია 16 მწვრთნელი, რომლებიც წვრთნიან 136 სპორტსმენს. სპორტის სხვადასხვა სახეობებში სპორტსმენებს მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ მოპოვებული, თუმცა მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის მიერ ჯერ კიდევ შემუშავებული და მერის ბრძანებით დამტკიცებული არ არის სპორტსმენთა და მწვრთნელთა წახალისების წესი, რომელიც მოწინავე მწვრთნელებისთვის და გამარჯვებული სპორტსმენებისთვის წამახალისებელი (ფულადი ჯილდო ან სხვა სახის წახალისება) იქნება და აისახება წლის ბიუჯეტში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდირებულია:

1. ა(ა)იპ „ქედის სასპორტო სკოლის“ ხელმძღვანელობამ:

_ საქმიანობის დაგეგმვის და მართვის პროცესში იხელმძღვანელოს ხაჯრთეფექტურობის პრინციპიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა გადაწყვეტს თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდას, მნიშვნელოვანია წინასწარ დაგეგმოს თანამშრომელთა მატების მიზნები/ამოცანები და უზრუნველყოს მათი შესრულება. აღნიშნული ხელს შეუწყობს ორგანიზაციის რესურსების მართვის ეფექტიანობას.

_ ყოველთვიურად მოახდინოს საწვავის ინვენტარიზაცია და ბრძანებით განისაზღვროს, თუ რამდენ საწვავს მოიხმარს ავტომანქანა ყოველ გავლილ ას კილომეტრზე, ამასთან საწვავის ჩამოწერა ყოველთვიურად აწარმოოს გარბენილი კილომეტრების მიხედვით.

2) _ მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურმა შეიმუშავოს და მუნიციპალიტეტის მერს დასამტკიცებლად წარუდგინოს 2024 წლის 16 იანვრამდე სხვადასხვა შეჯიბრებებში გამარჯვებული სპორტსმენებისთვის და მათი მწვრთნელებისთვის წამახალისებელი ღონისძიებების (ფულადი თანხით, სიგელით, მადლობის გამოცხადებით და სხვა) წესი, რომელიც სპორტსმენებს და მწვრთნელებს სტიმულს მიცემს შემდგომში წარმატების მოპოვებაში.

3) _ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების მიერ 2024 წლის 01 აპრილამდე მომზადდეს დოკუმენტაცია ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული სპორტული მოედნების თაობაზე და ყოველგვარი წესების დაცვით გადაცემული იქნას ა(ა)იპ „ქედის სასპორტო სკოლი“-ს ბალანსზე თავისი საბალანსო ღირებულებით.

5 ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

**სამსახურის პროგრამა „ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი
საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამის“ აუდიტი.**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით დამტკიცებული ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქციით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

სამსახურის შედგება პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამსახურის უფროსის, მეორადი სტრუქტურული ერთეულების განყოფილებებისაგან და პროფესიული საჯარო მოხელეებისაგან. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- ა) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილება;
- ბ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება;

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური ახორციელებს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებს, 2021 წელს გათვალისწინებული იყო 17 პროგრამა, რომლის ჯამური ოდენობა შეადგენდა 1322000 ლარს, კერძოდ:

- 1) ამბულატორიული მომსახურების პროგრამა 191600 ლარი.
- 2) სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება 154000 ლარი.
- 3) თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის 85200 ლარი.
- 4) სამკურნალო/გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარების ხელშეწყობა 5000 ლარი.
- 5) მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა 300000 ლარი.
- 6) სოციალურად დაუცველი ფენისთვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა 25200 ლარი.
- 7) ვეტერანთა უკუდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება 44000 ლარი.
- 8) ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამოზიური ხანდაზმულებისათვის 12700 ლარი.
- 9) ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება 78000 ლარი.

- 10) გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება 50000 ლარი.
- 11) ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა 13800 ლარი.
- 12) სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა 15000 ლარი.
- 13) საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა 100000 ლარი.
- 14) ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამა 125000 ლარი.
- 15) 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისთვის მატერიალური დახმარების უზრუნველყოფა 36000 ლარი.
- 16) მართხელა პენსიონერებისთვის სასურსათო პროდუქტის შეძენა 16500 ლარი.
- 17) საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის 20000 ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებით დამტკიცებულია „ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი“, რომლითაც ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანოდ განისაზღვრა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. პროგრამის მიზანი იყო ქედის მუნიციპალიტეტში უკიდურესად გაჭირვებული და ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახების სოციალური მდგომარეობის და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

პროგრამით სარგებლობა შეეძლო 0-დან 100000-მდე სოციალური ქულის მქონე ოჯახებს, საიდანაც ბენეფიციართა შერჩევა ხდება მუნიციპალიტეტის მერის შექმნილი დროებითი კომისიის მიერ. ამჟამად მოქმედებს დროებითი კომისია, რომელიც შექმნილია ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 10 მარტის №179 ბრძანებით, აღნიშნული ბრძანება საჭიროებს ცვლილებას, რადგანაც სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით კომისიის ერთი წევრი გამოაკლდა.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ, ხდება საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, იმ ბენეფიციარებისთვის, რომლებისთვისაც გადაწყდა ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლა.

2021 წლის ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო ოთხი ახალი სახლის მშენებლობა. 2022 წელს ასევე გათვალისწინებული იყო ოთხი ახალი საცხოვრებელი სახლის აშენება. ფაქტიურად 2021-2022 წლებში აშენებული იქნა 8 ახალი საცხოვრებელი სახლი რაზედაც ბიუჯეტიდან დაიხარჯა 335654,21 ლარი.

2021-2022 წლებში დაიგეგმა და აშენდა სულ რვა საცხოვრებელი სახლი.

დანართი №1

ბელო საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი სახლით შეცვლის პროგრამით 2021-2022 წლებში ამოქმედებული სახლები						
№	ხელშეკრულების ნომერი, ხელშეკრულების გაფორმების დრო	NAT	სად აშენდა სახლი და ვის მიერ ვისი საკუთრებაა	დაგეგმი ლი თანხა	ფაქტიურ ი ხარჯი	შენიშვნა (დასრულებული შენიშვნა და ჩაბარდა თუ მიმდინარეა შენობა)
1	№151 06სექტემბერი 2021 წელი	210014338	სოფელი დოლოგანი შპს "დიდი გზა" ნუგზარ ჯინჭარაძე	35706	33033,03	ხელშეკრულებით შენობა უნდა დასრულებულიყო 2021 წლის 19 ნოემბერს, ხოლო, დასრულდა 2021 წლის 28 დეკემბერს. ვადისგადაცილების გამო დაერიცხა 1043,44 ლარი
2	№173 15.10.2021წელი	210017635	სოფელი ნამონასტრევი შპს "დიდი გზა" გულადი თურმანიძე	39973	38597,37	ხელშეკრულებაში შევიდა ოთხეტი ცელილება, პირველი, მეორე და მესამე ცელილება გამოწვეული იყო უამინდობის გამო, ხოლო მეოთხე ცელილება ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო. პირგასამტეხლო დაერიცხა 1513,54 ლარი.
3	№174 15ოქტომბერი 2021წ.	210017636	სოფელი ზენდიდი შპს "დიდი გზა" ემზარ პაპუნძე	38255,26	71108,81	ხელშეკრულებით შენობა უნდა დასრულებულიყო 2021 წლის 12 დეკემბერს და დასრულდა 2022 წლის 25 ივლისს. ხელშეკრულებაში შევიდა ორი ცელილება. ვადის გადაცილების გამო პირგასამტეხლო გადახდილია 1931,64 ლარი.
4	№174 15ოქტომბერი 2021წ.	210017636	დაბა ქედა ზენდიდი შპს "დიდი გზა" ნაზი ჯაბინძე	36823,66		
2022 წელი						
1		220011392	სოფ. ხარაულა შპს "შენიშნული 2016" მეფაშაძე მინდია	49305		ხელშეკრულებაში შევიდა ოთხეტი ცელილება, პირველი, მეორე და მესამე ცელილება გამოწვეული იყო უამინდობის გამო, ხოლო მეოთხე ცელილება ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო. პირგასამტეხლო დაერიცხა 6305 ლარი.
2		220011392	სოფ. წონიარისი	49305		

	№119 18.07.2022		შპს "მშენებელი2016" ბოლქვაძე მამუკა		147915	
3		220011392	სოფ. სირაბიძეები შპს "მშენებელი2016" ფრიდონ სირაბიძე	49905		
4	№180 11.11.2022	220021028	სოფ. ზუზუზუ შპს "მშენებელი2016" თავედგირიძე ეზზარი	45000	45000	ხელშეკრულებით მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 2023 წლის 31 მაისს და დასრულდა 2023 წლის 13 ივნისს. ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება უამინდობის გამო. სამუშაოს შესრულების ვადა 2023 წლის 15 ივნისამდე გახანგრძლივდა

2021 წლის 2 აგვისტოს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი NAT210014338, სოფელ დოლოგანში ბეტონის საცხოვრებელი სახლის ტიპიური შენობის მშენებლობაზე. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შპს „დიდი გზა“-მ, რომელთანაც 2021 წლის 6 სექტემბერს გაფორმდა №151 ხელშეკრულება 35706 ლარზე. ხელშეკრულებით სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა 60 კალენდარული დღე და ეს ვადა დაიწყო ორ ეტაპად, ანუ პირველ ეტაპზე უნდა შესრულებულიყო 50% სამუშაოების, ხოლო მეორე ეტაპზე 50%. სამუშაოები უნდა დაწყებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 კალენდარულ დღეში და დასრულებულიყო 2021 წლის 05 ნოემბრამდე.

2021 წლის 26 ოქტომბერს ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რაც გამოწვეული იყო ამინდის არაბელსაყრელი პირობების გამო. სამუშაოების შესრულების ვადა გაიზარდა 80 კალენდარულ დღემდე ანუ 2021 წლის 19 ნოემბრამდე.

ხელშეკრულება №151-ში (06 სექტემბერს 2021 წელი) მშენებლობის განსაზღვრულ სამუშაოების მიწოდების ვადების გაგრძელება მოხდა მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს ტექნიკური საბჭოს სხდომის ოქმი №53-ით (25 ოქტომბრის 2021 წელი) უამინდობის გამო, აღნიშნული მიზეზების გამო 2021 წლის 26 ოქტომბრის ხელშეკრულება №151-ში შევიდა ცვლილება და სამუშაოების შესრულების ვადა გაიზარდა 80 კალენდარულ დღემდე ანუ 2021 წლის 19 ნოემბრამდე.

მშენებლობა დასრულდა 2021 წლის 28 დეკემბერს, მშენებლობის ვადის გადაცილების გამო მშენებელ შპს „დიდი გზა“-ს დაერიცხა პირგასამტეხლო 1043,44 ლარი.

ანალოგიური პრობლემებია 2021 წელს საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე გაფორმებულ №173 და №174 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადების ცვლილებებთან დაკავშირებით. ასევე 2022 წელს გაფორმებულ №119 და 180 ხელშეკრულების ვადების ცვლილებებთან დაკავშირებით შეორდება ცვლილებები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მერიის მშენებლობის და ინფრასტრუქტურის სამსახურისა და სატენდერო კომისიის მიერ მომზადებული სატენდერო პირობებით არასაკმარისად ხდება ვადებთან დაკავშირებით სიტუაციის ზუსტი ანალიზი და არსებული რისკების შეფასება, რის გამოც ხშირია შემდგომში სახელშეკრულებო პირობების ცვლილებები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდირებულია:

1. სივრცითი მოწყობის არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურმა, გაითვალისწინოს სატენდერო პირობების ჩამოყალიბებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების განსაზღვრის დროს სამუშაოების შესრულების გონივრული ვადების განსაზღვრა, მშენებლობის ტერიტორიის ადგილმდებარეობის, სამშენებლო პერიოდში ბუნებრივი პირობებისა და კლიმატის სავარაუდო გართულებები, რომ შემდგომში არ მოხდეს სახელშეკრულებო ვალდებულებებში ცვლილებების საჭიროება.

შემსრულებელი

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის

პირველადი სტრუქტურული ერთეულის

შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი



შოთა ბერიძე

(31.01.2024წ.)